სამშაბათი 1919 წ. მარტის 11 № 55
წელიწადი მეხუთე

სამშაბათი 1919 წ. მარტის 11 № 55
ფასი თბილისში კიოსკებში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანგძლივიანი განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული კლუბისა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

დეკანოზი ნიკიტა მალაქიას ძე და მეუღლე მისი ალექსანდრა ზაქარიას ასული თალაქვაძენი შვილებით, გულდათუთქულნი ვგლოვობთ იშვიათ ადამიანის და მეგობრის

ეფრემ დავითის ძის
## სართანიძის

უდროო გარდაცვალებას. 1—2206—1

უღრმეს მწუხარებაში მყოფი ძმები: ზაქარია და პელაგია, ძმისწულები: პორფილე მეუღლით კესარიათი, ყარამან მეუღლით ნატალიათი, მელიტონ მეუღლით თებრონეთი, სამსონ, ალათი, ელენე მეხუზლები ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ ჩვენი ძვირფასის, დაუვიწყარის

## იასე რაჭველის-მეხუზლას

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება სამშაბათს, თერთმეტს მარტს, სოფ. პ. ბაილეთში (გურიაში).
1—2208—1

ოთხშაბათს, 12 მარტს, დილის 11 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

მარგალიტა (მაგატო) გარდაფხაძის ასულის
## ასათიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი განსვენებულის შვილები ვიქტორი და ალექსანდრე სამსონის ძენი ასათიანები. (2—30—1)

ოთხშაბათს, 12 მარტს, განსვენებულის

მარგალიტა (მაგატო) გარდაფხაძის ასულის
## ასათიანის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ლეჩხუმში, სოფელ ჩოლურს გარდაფხაძეების საგვარეულო ეკლესიაზე, სოფ. ბარდნალის ღვთისმშობლის ეკლესიაში, წმ. ნამარწევის მონასტერში, ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში და თბილისს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რასაც აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე განსვენებულისა სამსონ სიჩინოს ძე ასათიანი და შვილები: ედუსი, ვასასი, მარიამი, აგრაფინა, ეკატერინე, ვიქტორი, ალექსანდრე, ილია, დავითი და კონსტანტინე. (2—30—1)

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი მშობლები: მღვდელი დავითი და მარიამ ზაქარიას ასული სართანიძენი, მეუღლე შუშანიკა ივანეს ასული, პატარა ქალით ქეთევანით, დები ალექსანდრა დავითის ასული მარტაშვილისა, ნადო დავითის ასული ბერიძისა შვილებით და ელისო დავითის ასული ხოსიტაშვილისა მეუღლით, ვაცნობებთ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის ერთად-ერთი ნუგეში ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტი

## ეფრემ დავითის ძე სართანიძე

რომლის გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 11 მარტს, გერმანელთა საავადმყოფოდან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, შუადღის 12 ს.
1 2207—1

პუშკინის ფოტოგრაფია
## ნ. ა. მირზოიანისა
(პუშკინის ქუჩა, № 5, პასსაჟი)

ასრულებს სამხატვრო პორტრეტებს მცირე ზომიდა ნატურალურ სიდიდემდე, ზეთით, აკვარელით და პასტელის საღებავებით აგრეთვე შავი სებიით. მშვენივრად შესრულება პორტრეტებისა ძველ სურათებიდან. ფოტოგრაფია სვინდისიერად შესრულებისთვის პირობას იძლევა ფოტოგრაფია ღიაა დილის 9 საათიდან საღ. 5 საათამდე. დღესასწაულების გამოუკლებლივ.
10—2168—3

ედუარდ კლარის ფოტოგრაფიასთან გახსნილია
## პორტრეტების გამადიდებელი

სტუდია. პორტრეტები კეთდება ყოველ ძველ სურათებიდან, ნატურალურ სიდიდემდე როგორც შავი საღებავით ისე ტუშით. მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, ქართული კლუბის შესავალი.

## იყიდება
## სამ სართულიანი სახლი

ბელინსკის ქუჩა № 26. პირობების გაგება ბელინსკის ქუჩა № 37. ყოველ დროს 1—2205—1

თბილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირის საბჭო ამით აცხადებს, რომ კვირას, 23 მარტს, 1919 წ. დილის 10 ს. დანიშნულია

## დელეგატთა კრილება

სამოსამართლო პალატის შენობაში, სასამართლოს ქუჩა.

თუ ვინიცობაა 10 საათზე არ შესდგა საკმაო ქვორუმი კრება ინიშნება იმავე დღეს 12 საათზე და ჩაითვლება კანონიერად დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

წესდების § 20-ს ძალით უნდა იყვნენ ამორჩეულნი ყველა დაწესებულებაში ოც მოსამსახურეზე ერთი დელეგატი. ის დაწესებულება სადაც მოსამსახურეთა რიცხვი 20-ზე ნაკლებია, მაინც ირჩევს ერთ დელეგატს. დელეგატმა უნდა წარმოადგინოს სათანადო მანდატი ადგილობრივ მოსამსახურეთა საზოგადო კრებისა.

დღის წესრიგი: 1. მომენტი.
2. კავშირის არსებობა.
3. კავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება.
4. მიმდინარე საქმეები.

თბ. სახელმწიფო დაწეს. მოსამსახურეების პრ. კავ. საბჭო.
1—2203—1

სამეურნეო გუნდში, სამხედრო სამინისტროსთან იყიდება

## ბროკი „ამერიკანკა"

დიდი მთავრის ქუჩა № 26. ფასზე იკითხეთ სამეურნეო გუნდში გედევანიშვილთან ან მეტლე შევცოვთან.
2—2202—2

## იყიდება
## პაპიროსი და თუთუნი
## ქიზიყი

მისამართი: ქალაქი თბილისი, მალაკნის ქუჩა, № 27. საწყობი 31. ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილით 9 საათიდან 12 საათამდე.
4—2192—4

გამოვიდა სახელმძღვანელო
## ბუღალტერისა
ს. ტარუაშვილისა.

და იყიდება მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში; შეიძლება იქიდანვე ფასდაკლებით გამოწერა არა ნაკლებ 40 ცალისა. თბილისი, სასახლის ქუჩა. ყოფილ. თავად-აზნაურობის ქარვასლაში. (5—2209—1)

## შრომის სამინისტროსაგან

შრომის სამინისტრო ამით აცხადებს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 27 თებერვლის დადგენილების თანახმად: 1) კავკასიის საოლქო დამზღვევი საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე (მუშების უბედურ შემთხვევათა დამზღვევის შესახებ) აღარ მოქმედობს, 2) ყველა ფუნქციები ზემოხსენებულ საზოგადოებისა, სანამ სხვა დამოუკიდებელი დამზღვევი საზოგადოება დაარსდებოდეს რესპუბლიკაში, დაეკისრა შრომის სამინისტროს (პეტრე დიდის ქუჩა № 8), სადაც უნდა იქნას შეტანილი ყოველივე განცხადება, რომელიც კი დაკისრებული აქვს მწარმოებელს კავკასიის საოლქო დამზღვევი საზოგადოებისაგან. წარმოდგენილი უნდა იქმნას აგრეთვე ყოველივე კანონისაგან დამტკიცებული ცნობები მუშათა უბედურ შემთხვევათა შესახებ.

ამავე სამინისტროს უნდა მიმართოს ყველა პენსიონერმა პენსიის მიღების ან და ახლად დანიშვნის შესახებ.

(1—2204—1)

## სახალხო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ეულახიშვილისა

დღეს, 11 მარტს, წარმოდგენილი იქნება:

## აბესალომ და ეთერი

12 მარტს „გეიშა". 13 მარტს „მანონი". 15 მარტს „ოტელლო".

მედიცინის დოქტორი
## ა. გ. მაჭავარიანი
ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, გზოში) სადგურ ტელეფონი № 43.
60—2171—7

რ. წითელ ჯვრის საოლქო მმართველობის
## სამკურნალო
ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოგოლიკების და ნარკომანებისთვის. ცნობებისთვის მიმართეთ. სამკურნალოს (ორთაჭალა ელბრუსის ქ. № 27. ტელ. 82.) ან დირექტორს ა. პრუსენკოს მისამართით: ანასტასიას ქ. № 7, ტელეფონი 4—36.

## პრინციპია თუ შიში?

სინამდვილემ ბევრი ილუზია დაუმსხვრია ჩვენს მმართველ სოციალისტებს, ბევრი პრინციპი გაუნადგურა და გადაალახვინა. შინაურ მოლატეთ სიკვდილით დასჯის საშინელება წამოუწერინეს, სამტროდ და დასაპყრობად შემოსეულ ხალხებს შეიარაღებული ქართველი ხალხი შეაგებეს და ყველაფერი, რასაც ომის ლოლიკა მოითხოვს: კვლა-ხოცვა, დარბევა განადგურება, თვიანთი სანქციით და ხელმძღვანელობით ჩაატარეს. ასეთი ხელობა, რა თქმა უნდა, არც სანუკვარია და არც გასახარი, მაგრამ აუცილებელია და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ცარიელი სიტყვა „ძმობა-ერთობა" იმ იარაღად ვერ გამოდგება, რომ ამ ქვეყნად შენი მშობელი ერის სამკვიდრებელი შეგინარჩუნოს და მისი ტრადიციის მთელი კულტურული ავლა-დიდება, უზიანოდ გაგაყოლოს ჟამთა სვლაში. რომ თვითარსებობა განიმტკიცო და თვითგანვითარების უფლება დაიცვა, საჭიროა თვით სიცოცხლის მსხვერპლიც და ის რკინის არგუმენტები, რომელთაც დღეს ასეთი გასავალი მიეცა მებრძოლ სოციალისტებში.

ვინც სინამდვილეს თვალში ფხიზლად უყურებს და ამ არასასიამოვნო ხელობის აუცილებლობას ჰხედავს, ის დროით მომზადებული მაინც დაუხვდება ამ საშინელ მოსალოდნელობას და თვის ხალხსა და ქვეყანას იმ უბედურებას და ზარალს მაინც აარიდებს, თუ საქმე კატასტროფამდე არ მივიდა, რაიცა ყოველს წინდაუხედაობასა და მოუმზადებლობას თან მოაქვს ხოლმე. თავი დავანებოთ იმას რაც აქამდის იყო და იმის გვეშინოდეს, რომ ჩვენი მმართველი სოციალისტები, სინამდვილის ამდენი მწარე გაკვეთილის შემდეგაც, საჭირო წინდახედულობას ვერ გამოიჩენენ და ისევ-ისე არა მომლოდინენი და, მაშასადამე, მოუმზადებელნი შეხვდებიან ქვეყნის ახალ-ახალ საფრთხეს...

დღეს ამ რიგის ერთ კონკრეტულ მოვლენაზე გვინდა შევჩერდეთ, მხოლოდ სხვა სფეროდან აღებულზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში, დღეს უფრო მეტ როლს თამაშობს ეროვნული მეურნეობის ვითარება, ვიდრე თვით ბრძოლის ველი. შეიძლება დროებით ჩადგეს კიდეც ომისა და ბრძოლის ქარიშხალი, მაგრამ ამ მშვიდობიან ინტერვალში, შეიძლება სწორედ ეკონომიურმა კრიზისმა ბოლო მოგვიღოს, ამიტომ მმართველი სოციალისტები, თუ არა მეტის, თანაბარის ენერგიით მაინც უნდა იცავდნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებასაც და ჩვენი ქვეყნის საზღვრებსაც ბრძოლის ველზე, თუნდაც ამიტომ რომ მტერთან ბრძოლაში გამარჯვება შეუძლებელია, თუ შინ ეკონომიური ანარქია მძვინვარებს და ყოველი ნივთიერი შემოქმედება შეჩერებულია. ნუ თუ მმართველი სოციალისტებისთვის ნათელი და ცხადი არ არის, რომ საქართველოში შეუძლებელი გახდა, როგორც ახალი წარმოების დაწყება, ისე ძველის შენახვაც? ნუ თუ ცხადი და ნათელი არ არის, რომ ყველაფერი დაგვეკარგება და დაიღუპება, თუ ამ გზას არ გადაუხვიეთ?! ნუ თუ მმართველი სოციალისტები ვერ ხედავენ რომ პროფესიონალური კავშირების უდავო ბატონობა და მდგომარეობით გამედიდურებული მოსამსახურეთა თვითნებობა აჩერებს ეკონომიურ მაჯის ცემას, ჰკლავს აღებ-მიცემობას და ყოველგვარ სავაჭრო ოპერაციებს? რად ღირს მარტო ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გაფიცვა, რომლის ცნობა დღეს „საქართველოში" იბეჭდება. 25 იანვრიდან ამ ბანკის მოსამსახურენი გაიფიცნენ და თან წაიღეს კასისა და ყველა საანგარიშო წიგნების უჯრათა გასაღებები რითაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს კიდეც.

ყოველგვარმა ცდამ ამ თვენახევრის განმავლობაში, რომ გასაღებები უკან დაებრუნებოდა, ბანკის გამგეობას ამაოდ ჩაუარა. ყველა მოინახულეს პირადათ, მთავრობის თავმჯდომარეც, შინაგან საქმეთა მინისტრიც, შრომის მინისტრიც, ბევრი დეპეშაც დაუგზავნეს, მაგრამ არა გამოვიდა რა. ერთი კი გამოირკვა მთავრობისთვის, სახელდობრ ის, რომ მოსამსახურეთ არავითარი საბუთი არ ჰქონდათ გასაფიცავად. შრომის სამინისტრომ ბანკის გამგეობის გადაწყვეტილება მართებულად ჩასთვალა და მოითხოვდა, ბანკის მუშაობის დაუყონებლივ განახლებას. მართალია, სიტყვა, „დაუყონებლივ" ტექსტში შემდეგ წაუშლიათ; ბატონ საშინაო საქმეთა მინისტრსაც კეთილშობილი აღშფოთების გუნებაზე სიტყვიერად გადაცემული ენერგიული ზომების მიღების განკარგულება, შემდეგ გაზეთ „ბორბაში" უკან წაუღია!!.

ცხადია, რომ სამინისტროებს და მინისტრებს უსაბუთოდ გაფიცულებისაც ეშინიათ, ან იქნებ, ჩვენი მმართველი სოციალისტები თავის თავს კლასიურ ბრძოლის პარტიად სთვლის და თავის დანიშნულებას ამ ბრძოლის გაღვივებასა და „რევოლიუციის გაღრმავებაში" ჰხედავს და სრულებით არ დაგიდევს, რომ უპასუხისმგებლო პირთა თვითნებობას მსხვერპლად ეწირება ჩვენი ნაციონალური მეურნეობა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აწმყო და მომავალი და ყველა ის დაწესებულება, რომელნიც ემსახურებიან საქართველოს აღებ-მიცემობის ოპერაციებს და რომელნიც წელთა განმავლობაში დიდის შრომითა და ცოდნა-ენერგიით შექმნილან! გვინდა ვიცოდეთ, ეს პრინციპია თუ შიში?

## პ რ ე ს ს ა

**არჩევნები და „სალი-კლდის" მოთქმა.**

გაზეთ „სალ-კლდეში" დ. კახელი ეხება დასრულებულ არჩევნებს და აღნუსხავს „გამარჯვებულთ და დამარცხებულთ". პირველ კატეგორიას ეკუთვნის, რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატები, ხოლო ჩვენ გვეგონა ბ. კახელი მეორეთა რიცხვში თავის პარტიას დაასახელებდა, რომელმაც ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაიყვანა დამფუძნებელ კრებაში. მაგრამ დ. კახელს თავისი პარტია დავიწყებია და სწერს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამარცხებაზე.

„დამფუძნებელ კრების არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დამარცხდა; ოცდაათი დეპუტატის მაგიერ მან ძლივს 8 დეპუტატი გაიყვანა.

ეხლა ყველასათვის გასაგებია, თუ რა მიზეზით დაემართა ასეთი მარცხი ეროვნულ-დემოკრატიას. ორი მიზეზია—პარტიის დაყოფა და განახლებულ გაზ. „საქართველოს" მენშევიკური მიმართულება. პირველმა გაძლიერა არა სოციალისტურ წრეების აბსენტეიზმი, მეორემ კი აიძულა პარტიის თანამოაზრეებს ხმები პირველ ნომრისთვის მიეცათ, რადგან ბევრმა ქიქოძის მეორე ნომრის მენშევიზმს ჟორდანიას პირველი ნომრის მენშევიზმი აირჩია.

ასეთი ბრწყინვალე შედეგები მოუტანა პარტიას მის მთავარ-კომიტეტის უკანასკნელ 5 თვის თვითნებურ და ლაჩრულ პოლიტიკამ. ამ პოლიტიკისავე წყალობით საქართველოს დამფუძნებელ კრებიდან დროებით გაირიყა ის ჯგუფი, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სოციალისტებთან ბრძოლის დროს ოპოზიციონურ სულს მუდამ უდგამდა, გაბედულად და მტკიცედ იცავდა პარტიის და ქვეყნის მმართველში სახელმწიფოებრივ პრინციპებს და ტრადიციებს.

დღეს საქართველოს პირველი დამფუძნებელი კრების მემარჯვენე სექტორს ფრთა მოსტეხია.

დამფუძნებელ კრებას ოპოზიცია არ ეყოლება. ასეთ ოპოზიციად ვერ ჩაითვლება ის ორიოდე ეროვნულ-დემოკრატი, რომელიც თუ გაბედავს ოპოზიციის ცეცხლის დანთებას „კუდიანი" კოლეგების ნიავწყლით გადასხმული წამსვე ჩაქრება.

ეროვნული ოპოზიცია ფერფლად იქცა. და ამ ფერფლისათვის შებერვა და განიავება არვის გაუჭირდება.

# უკანასკნელი ცნობები

ავადმყოფობის გამო საქართველოდან ინგლისს გაემგზავრა საქართველოში ინგლისის მისიის მეთაური ფორესტიე უოკერი.

საზავო კონფერენციაზე აღიძრა გერმანიის ახალშენების და ოსმალეთის ოლქების მმართველობის საკითხი.

შეერთებული შტატები მიიღებენ სომხეთისა და იტალიის ოლქების მმართველობის მანდატს, სმირნასა და სომხეთს შუა. სირია და ალექსანდრია საფრანგეთს გადაეცემა.

დიდი ბრიტანეთი პალესტინას და გერმანიის აღმოს. აფრიკის ახალშენებს მიიღებს, საფრანგეთი კამერუნის და კონგოს ნაწილს, წყნარ ოკეანეში გერმანიის კუნძულები იაპონიას გადაეცემა.

ბერლინსა და მიუნხენის ქუჩებზე ისევ დიდი შეტაკებებია.

ლონდონში ამ ჟამად 20000 ბოლშევიკია. უმრავლესობა რუსებია.

---

თუ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ შესაფერისი რიცხვი კანდიდატებისა ვერ მისცა დამფუძნებელ კრებას, თავი რომ გავანებოთ სხვადასხვა მიზეზებს, რომლის შესახებ სხვა [illegible]

**„სახალხო საქმე" განაპირა კუთხეების შესახებ.**

[illegible] რომ დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენა აქედან უნდა დაიწყოს. ჩვენი ჯარების მიერ ახალციხის აღების გამო „სახალხო საქმე"—სწერს:

„ჩვენმა ჯარმა ახალციხე დაიბრუნა და მთავრობას იმედი აქვს მოკლე დროში მთელი მესხეთი გაწმენდილი იქნება ასკერებისა და მეამბოხეებისაგან. მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, ახალციხის მაზრის საკითხის საბოლოო და ძირითად გადაწყვეტას. იმ პანთურქისტულ მოძრაობას, რომელსაც ხელმძღვანელობენ ოსმალეთის ფაშები და ჩვენი გადაგვარებული ბეგები, უნდა შევებრძოლოთ მედგრად მთელის ჩვენის შეიარაღებულის ძალით: ოსმალეთი ჩვენი დაუძინებელი მოსისხლე იყო მუდამ და დღესაც არ ღალატობს ძველს გზას და ყოველგვარს საფრთხეს გვიმზადებს და ამის დავიწყება ერთს წუთსაც არ შეგვიძლია. იარაღს იარაღი უნდა დახვდეს. ხოლო არის მეორე გარემოება, [illegible] მთელს სხეულს აუძლურებს..."

ჩვენ კარგად ვუწყით, რომ დასნეულებულია არა მარტო ხსენებული კუთხე, არამედ ყოველი განაპირა მხარე ჩვენი სახელმწიფოსი და არამც თუ დაავადებულია, როგორც „სახალხო საქმე"-ს ჰგონია, ზოგი მათგანი, მაგალითად საინგილო, რომლის შესახებ სოციალისტური პრესსა საზოგადოთ სდუმს, სრულიადაც მოწყვეტილია სახელმწიფოს სხეულს. ჩვენი მოვალეობაა დღემუდამ მივუთითოთ პოლიტიკურ მესვეურებს ამ გარემოებაზე და მოვითხოვოთ დაუყოვნებლივი შემოკრება მთელი ჩვენი მიწა-წყლისა...

# სპარსეთი და საქართველო

თეირანის პრესსა სიამოვნებით აღნიშნავს სპარსეთისა და საქართველოს შორის კეთილგანწყობილებას. განსაკუთრებით ხაზს უსვამს თბილისში ჩამოსულ სპარსეთის სამშვიდობო დელეგაციის (მუშავერალ-მამელიკის მეთაურობით) გულთბილად შეხვედრას საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ.

# აზერბეიჯანის პროტესტი საქართველ. ჯარების მოქმედების გამო ახალციხეში.

აზერბეიჯანის მთავრობის ოფიციოზი 6 მარტის თარიღით იუწყება, რომ აზერბ. მინისტრთა საბჭომ, მთავრობის თავმჯდომარის მოხსენების თანახმად დაადგინა: მიენდოს საგარეო საქმეთა მინისტრს პროტესტი განუცხადოს საქართველოს მთავრობას იმ შეიარაღებულ გავლენის გამო, რომელსაც იგი ახდენს ახალციხის მაზრის თვითგამორკვეულ მაჰმადიანობაზედ; ხოლო პროტესტის ასლი ეცნობოს მოკავშირეთა სარდლობას.

# სამხედრო მინისტრი ახალ-ციხის ასპარეზზე

26 თებერვალს საღამოს 10 ნახ. საათზე სამხედრო მინისტრი ახალციხის ასპარეზზე გაემგზავრა. იქ მინისტრმა [illegible] შემდეგ მინისტრმა მიიღო მოქალაქეთა დეპუტაცია, რომელიც მისალმა მინისტრს და მადლობა გადასცა, მათი განთავისუფლებისათვის.

საპასუხო სიტყვაში მინისტრმა უსურვა მათ მომავალში მაინც გაარჩიონ მტრები მოყვრებისაგან და არ წამოეგონ ავანტიურისტების მიერ გადასროლილ ანკესზე. შემდეგ მინისტრმა და სარდლობის წევრებმა ითათბირეს ქალაქისა და პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებთან. საღამოს მინისტრი ახალციხიდან ბორჯომში გაემგზავრა. აქედან იმ ღამესვე თბილისში დაბრუნდა.

# ფორესტიე-უოკერის წასვლა საქართველოდან

ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაური ბ-ნი ფორესტიე-უოკერი, კვირას ნაშუადღევის სამს საათზედ თბილისიდან, ბათომის გზით, გაემგზავრა ინგლისში;

როგორც ჩვენ გადმოგვცეს, ბ-ნი უოკერი უკანასკნელ ხანებში ცუდად გრძნობდა თავს ჰაჰების ავადმყოფობის გამო და ექიმების რჩევით, მისთვის საჭირო გახდა ჰაერის გამოცვლა.

მის მოადგილეთ დიპლომატიურ წრეებში ასახელებენ მოკავშირეთა სარდლობის მეთაურს ბაქოში და ბაქოს გენერალ-გუბერნატორს გენ. ტომსონს, რომელიც ჩამოვა ბაქოდან თბილისში, როგორც კი მოაწესრიგებს უკანასკნელ ხანებში იქ მომხდარ ამბებს კასპიის ფლოტის იარაღის აყრის გამო.

# ქრონიკა

**სამხედრო წესების მოხსნა.** თანახმად გენერალ-გუბერნატორის მოხსენებისა, თბილისის გუბერნიაში, ბორჩალოს მაზრის გარდა, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, სამხედრო წესები მოიხსნა.

**გზათა სამინისტრო.** გზათა სამინისტრო, მთავრობის განკარგულებით, რკინის გზათა სამმართველოს [illegible]

[illegible] ბენგალია) ინგლისის ჯარის ნაწილები ჩამოვიდნენ. ჩამოსულნი არამიანცის სახლში მოათავსეს.

**ქართველ ვაჭარ-მრეწველთა პალატის არჩევნები.** დასრულდა ქართველ ვაჭარ-მრეწველთა პალატის წევრთა არჩევნები. პალატის წევრებად არჩეულ იქმნენ: ა. ბერელაშვილი, ვ. ბერელაშვილი, ე. აბაშიძე, ი. ზურაბოვი, ლისინოვი, სარქისოვი, მირაქიშვილი, ა. ჯაბადარი, ნ. ჯაყელი, რ. დათეშიძე, ა. ხოშტარია, ჯ. მარგველაშვილი და სხ. ახლად არჩეული პალატა თბილისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის მიერ დამტკიცების შემდეგ დაიწყებს მოქმედებას.

**ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ქ. ქუთაისში ი. ფერაძის მიერ შედგენილი და თ. მთავრიშვილის ამხანაგობის მიერ გამოცემული ისტორიულ-ლიტერატურული მონოგრაფია, „გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი". წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 3 მ. და 50 კაპ.

# პარტიული ცხოვრება

**ქ. ხონი.** კვირას 2 მარტს ქ. ხონში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ ხონის თეატრში მოაწყო კრება, რომელზედაც მოწვეული იყო პარლამენტის წევრი ბ-ნი სპირიდონ კედია.

კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. საზოგადოების ერთი ნაწილი უადგილობის გამო ქუჩებში იდგა.

კრებაზე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ბ. სპირიდონ კედიამ, რომელსაც საზოგადოება აღფრთოვანებითა და ტაშის ცემით შეხვდა.

მოხსენების დასრულების შემდეგ მოკამათე არავინ გამოსულა, მხოლოდ რამდენიმე ყმაწვილმა წამოიძახა „გაუმარჯოს სოციალიზმსო".

საჯარო მოხსენების შემდეგ გაიმართა პარტიული კრება. საზოგადოებას წინადადება მიეცა, რომ მხოლოდ პარტიის თანამგრძნობნი დარჩენილიყვნენ. აღსანიშნავია, რომ ამ წინადადების შემდეგ თეატრის დარბაზი ავსებული დარჩა. მოხდა რეგისტრაცია, რის შემდეგაც პარტიული ორგანიზაციისა და სხვა საქმეების შესახებ გაიმართა საუბარი. ილაპარაკეს ბ.ბ. სპირიდონ კედიამ, ალ. თორაძემ და სხვებმა.

**ქ. ქუთაისი.** 4 მარტს საგუბერნიო კომიტეტის სადგომში მოხდა პარტიის წევრთა კრება. კრებას მოხსენება გაუკეთა დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ პარლამენტის წევრმა ბ. სპირიდონ კედიამ. მომხსენებელმა აღნიშნა სოციალისტების შეუფერებელი მოქმედება, რასაც არჩევნების დროს სჩადიოდნენ, რასაც მიეწერება მათი გამარჯვება დამფუძნებელ კრებაში.

**ახალგაზდა ეროვნულ-დემოკრატების მთავარი კომიტეტი** მოთავსდა ახალ ბინაზე ოლღას ქ., № 24—კოოპერატივ „დახმარება"-ს გვერდზე. ყოველგვარ საქმისთვის უნდა მიჰმართონ ამ მისამართით. იქვეა მოთავსებული ჟურნალ „ახალი ძალა"-ს რედაქცია და პარტიული სამკითხველო.

# პროვინციის ცხოვრება

**ოზურგეთი**

ოზურგეთის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებისათვის შენობის ამგები კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს კოოპერატიულ დაწესებულებებს, საკრედიტო ამხანაგობებს, და კერძო პირთ, ვისაც დაგზავნილი ჰქონდა კომიტეტის მიერ მიმართვა ფულების შეკრების შესახებ, გადმოგზავნონ შეკრებილი ფულები [illegible] გზავნა შეიძლება ოზურგეთის [...] თიერთო ნდობის ბანკში კო[...] ხაზინადარ რუბენ ჩხაიძის სახ[...]

**სამხედრო [...]**

სამხედრო გზაზე ავტომო[...] მიმოსვლა შეწყვეტილია [...] დიდ ნიაღვრებისა და ზვავებ[...]

**ს. გორ[...]**

მთელ ქართლში კარგ მ[...] ელიან, რადგან ჯეჯილები და[...] განზრახულია ტონუაშვილებ[...] დან (არაგვზე) სოფელი ელექ[...] გაანათონ

**ს. მც[...]**

მცხეთას კავკავიდან და ჩრ[...] კავკასიიდან დაბრუნებული ქარ[...] ლტოლვილობა მოაწყდა.

**ს. ლიხა[...]**

სოფელი ლიხაური (გურია) [...] თა შემოსევის დროს ძალიან [...] ლდა. სოფელმა შინაგან საქმ[...] ნისტრის წინაშე შუამდგომლო[...] რა დახმარების აღმოსაჩენად.

**ოსეთის სამხედრო [...]**

ოსეთის სამხედრო გზის დ[...] ლიერებლად გაემგზავრა კომის[...] მელშიც შედიან: საქართველოს [...] ტკეცილების ინსპექტორი ინჟ. რიაგოვი, რევიზორი ასათიანი [...] ზეკარის სამხედრო გზატკეც[...] უფროსი ინჟენერი ცაგარელი. [...] სიამ საჭიროდ სცნო გზების [...] შეკეთება. იგივე კომისია მალე ზ[...] გზის დასათვალიერებლად გაემგზ[...]

# საქართველოს ბიუჯ[...]

გაზეთ „კლდე"-ში მოყვანილია [...] დეგი ცნობები იმ ხარჯებისა, [...] ლიც საქართველოს პარლამენტის [...] იყო დამტკიცებული.

საქართველოს სახელმწიფო ბ[...] (ჩვეულებრივი) ყოველთვე 48,50[...] მანეთს უდრის.

შინაგან საქმეთა სამინისტრო[...] 4,920,762 მან.

ფინანსთა სამინისტროზე—72[...] მანეთი.

იუსტიციის სამინისტ.—1,522,[...]

საგარეო საქმ. სამინისტ.—80,4[...]

სასურსათოზე—2,306,416 მან.

გზათა სამინისტროზე—9,747,[...]

ვაჭრობა-მრეწველობის სამი[...] როზე—307,720 მან.

მიწათ მოქმედების სამინისტრო[...] 741,637 მან.

შრომის სამინისტროზე 26,73[...]

სამხედრო სამინისტ.—27,676,2[...] (აქედან 4 მილ. გვარდიაზე).

სახელმწიფო კონტროლზე—190[...] მანეთი.

---

# არტისტი და ხელოვნება

ქართველ საზოგადოებას კიდევ კარგათ ახსოვს ის სიამოვნება და აღტაცება, რაც მან მიიღო ამ ბოლო კვირეებში სახელმწიფო თეატრში ქართულ ენაზე გამართულ ორ-სამმა წარმოდგენამ; ჯერ კიდევ არ ჩანელებულა ქართველ ოჯახებში ამ სიხარულის ტალღა და შემდეგშიაც რომ აქ მრავალი სიხარული განგვეცადოს და ეს ფასდაუდებელი დაწესებულება სახეირო და სასიხარულო იყოს ქართველ ერისთვის, დროა მის მომავალზედ ორიოდ სიტყვა ითქვას.

ამ წლის სეზონი თუ არ გათავებულა, მალე გათავდება; მომავალი სეზონისთვის ხომ ბევრი რამ არის გასაკეთებელი დასაფიქრებელი, მით უმეტეს, რომ ქართულ ხელოვნებას ეხლა სულ სხვა პირობებში უხდება წინსვლა და მისი განვითარებაც ამ პირობებს უნდა შეუფარდდეს, მას უნდა ეგუებოდეს.

უპირველეს ყოვლისა ქართული წარმოდგენები მომავალ სეზონში ესე კანტიკუნტად აღარ უნდა იმართებოდეს და შემთხვევითი ხასიათი არა ჰქონდეს, ქართული წარმოდგენების მართვას აქ სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს. რადგანაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რომ დღეები ერთი რომელიმე დარგით ამოივსოს, ამიტომ იგი უნდა განაწილდეს დრამასა და ოპერების წარმოდგენებ შორის.

დრამატიული დასის შედგენა უფრო ადვილია, ვიდრე მომღერალთა დასისა, თუმცა ამ შემთხვევაში დრამატიული დასიც დიდის სიფრთხილით უნდა შესდგეს და მაშასადამე, ყველა ხელმოცარულსა და შემთხვევით თეატრის სცენაზედ, ანუ თეატრის ახლოს გამვლელ-გამომვლელს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. დროა ავი-კარგისაგან განირჩეოდეს და ყველა უნიჭოს თეატრი თავშესაფარად არ მიაჩნდეს. დრამატიულ დასში საუკეთესო ძალე[ბი] უნდა იყვნენ მიწვეულნი, რადგანაც ქართული დრამისათვისაც კი ეხლა იწყობა პროვინციისა და სატახტო ქალაქის სცენიური ცხოვრება.

დასის შედგენა ოპერისათვის უფრო გასაჭირია; მომღერლები გვყავნან, მაგრამ არც იმდენნი, რომ შეავსებდნენ პირველი როლისა და მეორე როლების პერსონაჟებს; პირველი როლებისთვისაც რომ მოიპოვებოდნენ, სასურველია, რომ მეორე როლების აღმსრულებლებსაც რამე შკოლა ჰქონდეთ გავლილი, თორემ ვისაც ხელი წამოჰკრა და აამღერო, ესენი ხომ საოპერო დასისთვის ისეთივე ბალლასტი შეიქმნებიან, როგორც დრამატიულ დასისთვის შემთხვევით სცენაზედ გამვლელ გამომვლელნი. საოპერო დასის შემადგენელმა, რასაკვირველია, უნდა იცოდეს დევიზი ოპერის მოთხოვნილებისა; აქ მოსამსახურეს ესაჭიროება ხმა, ხმა და კიდევ ხმა; დანარჩენი ყველაფერი წლებსა და პრაქტიკას მოაქვსთ.

იქაც შეიძლება ვინმე აგვიხირდეს გვითხრას,—მარტო ხმა არა კმარაო; სრული სიმართლეა, მაგრამ ესეც კია, რომ თუ სადრამო ნიჭი გაქვს და ხმა არ შეგწევს, მაშინ არამც თუ ოპერაში, დრამაშიაც არ გამოდგები; დრამატიული არტისტისთვის ხმა ისევე საჭიროა, როგორც მომღერლისთვის. ხოლო მომღერლისთვის კი ხმა, როგორც მეომრისთვის ხმალი.

არც კი მინდა ვიფიქრო, რომ ვინც შეადგენს დასს, არ იცოდეს, რა არის მომღერლისთვის საჭირო და რა არა. აქ სიტყვა ისეც გაგვიგრძელდა და უმთავრესად კი აზრად გვქონდა მთავრობისაც და საზოგადოების ყურადღება ერთს გარემოებას მიგვექცია.

საქმე იმაშია, რომ ქართულ სცენას, როგორც ეს პრაქტიკამ დაგვანახვა, ინტელიგენცია არ ეტანება და გაურბის. ეს ძალიან ადვილი ასახსნელია: ჩვენი არტისტების ნახევარ მაძღრობითი ცხოვრება ყველამ კარგათ იცის; სეზონი გათავდა და იგი მთელი ცხრა, ანუ [illegible], ხუთი თვე გულხელ დაკრებილი ზის მშიერ-მწყურვალი. იგი იძულებულია მოხეტიალე მსახიობად გარდაიქცეს ეს რამდენიმე თვე პროვინციის საბალაგანო სცენებზედ სული ამოირთვას; და მერე ისიც რისთვის? რისთვის და იმისთვის, რომ, მაგალ., ოზურგეთში ჩასულმა როგორმე დააბწიოს თავი, რის ვაივაგლახით ერთი ან ორი გროში შეკრიბოს; რომ სენაკში გადავიდეს; სენაკშიაც ეს ფიქრი და ეს ტანჯვა; აი ამ ზნეობრივ ტანჯვა-ვაებაში გადის ქართველი მსახიობის მთელი ცხოვრება; ახლა მიბრძანეთ რომელი განათლებული კაცი წაეტანება ამისთანა საქმეს? ვინ არის გმირი, რომ ბედის უმადური გახდეს და თავი საწყვლად გაიხადოს. ეჭვი არ არის, ის მიდის ეხლა სცენაზედ, ვისაც ბედი უკუღმა ჰქონდა დატრიალებული და უნდა აქ გამოასწოროს.

და რომ ქართულ სცენას განათლებული ხალხი არ გაურბოდნენ, რომ სცენაზედ მართლა იმისთანა პირობები შეიქნას, რომ იქ მხოლოდ ნიჭიერი პირთა ჰქონდეთ ადგილი, ამიტომ საჭიროა სცენის მომუშავის უზრუნველყოფა სახელმწიფომ იდვას თავსა და ეს სამარცხვინო აუტანელი წანწალი ქართველი არტისტისა, ერთხელ და სამუდამოდ ამოიშალოს ქართული თეატრის ცხოვრებიდან.

მარტო წლიურად ჯამაგირების დანიშვნა ვერ უზრუნველ ჰყოფს სცენის მომუშავეს, ვერ წასწევს წინ ხელოვნებას. არტისტიც კაცია, მაშასადამე იმ ერთი ხალხური ლექსისა არ იყოს, იმის ცხოვრებაშიაც დადგება იმისთანა ხანა, როდესაც „შინ ცოლშვილს მოსძულდება, გარეთ უნდივარ ალარა"-ო. სანამ უნარი ჯანი და ჭკუა უჭრიდა, სახელმწიფო ჰკვებავდა; ეს რომ ყველაფერი მოაკლდება და ინვალიდი შეიქნება, მთავრობამ უნდა ჰკრას წიხლი და ქუჩაში გამოაგდოს? ეს ხომ დიდი უსამართლობა იქნება!

და აი, სცენის მომუშავის უზრუნველ ყოფა, რომ მკვიდრ ნიადაგზედ იყოს დამყარებული, ერთი რამც არის აუცილებლად საჭირო: სცენის მომუშავეს უნდა მიენიჭოს ყოველივე ის უფლება, რაც აქვს მინიჭებული ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებაში მოხელეს განსაზღვრულ წელთა სამსახურის შემდეგ. მას უნდა ჰქონდეს უფლება პენსიისა; ამასთანავე იგი უნდა სარგებლობდეს ყოველივე მთავრობის დახმარებით, როგორც ყველა მთავრობის მოხელე.

საიდან მიეცეს ეს დახმარება? ამ კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის სახელმწიფო თეატრებში მოსამსახურეებმა ეს კითხვა აღძრეს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე; მწვავე საკითხია და ამიტომ სჯა-ბაასიც საყურადღებო იყო; ომმა უსწრო, შემდეგ ჩვენც ვერ ვადევნეთ თვალი გაზეთებს და რითი გადაწყდა არ ვიცით; საღი მოსაზრება კი ამას გვიკარნახებს, რომ სცენაზე მოსამსახურეთათვის მთავრობამ უნდა დაარსოს კასსა სახაზინო თანხიდან; ამ კასსის კეთილდღეობა და ზრდა თვით სცენის მოხელეებზედ უნდა იყოს დამყარებული; ამით მთავრობას შეუმსუბუქდება ერთნაირი ზრუნვა არტისტებზედ და თვით სცენის მომუშავენიც იმდენად მიიღებენ უხვად ამ კასსიდან დახმარებას, რამდენადაც იგინი გულმხურვალედ მოეკიდებიან კასსის მატარეალურად ზრდას. რასაკვირველია, ეს განსაკუთრებით სცენის მოხელეთა პროფესიის კასსა, უზრუნველ ყოფილი იქნება მთავრობის მიერ, და, როგორც ვსთქვით, აქედან მიეცემათ დახმარება და არა პენსია. სხვათი შორის ასეა მოწყობილი საქმე გერმანიის სახელმწიფო თეატრებში მოსამსახურეთათვის. ამ ფრიად საინტერესო ცნობებზე შემდეგ ვიტყვით რამეს.

თუ ამისთანა პირობები შეიქმნება სახელმწიფო თეატრში მოსამსახურეთათვის, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ნიჭით ინვალიდობას იქ ადგილი აღარ ექნება, ბევრი ნასწავლი მიაწყდება ამ პროფესიას ხელოვნების შესწავლაზედ გაღებულ ხარჯს ნიავზედ დაბნეულად აღარავინ ჩასთვლის და თეატრის ადმინისტრაცია იძულებული იქნება შეჰქმნას შეჯიბრება, ერთნაირი მექიშპეობა ხმებისაც, დამკვრელებისაც, მომღერლებისაც. ამას გარდა სახელმწიფო თეატრში ამ ნაირად საქმის დაყენება შეჰქმნის ამა თუ იმ ხელოვნების სფეროში ერთნაირ მოძრაობას და ეს ამოძრავება კი იქნება ნიშანი წინსვლისა, და ხელოვნების ზრდისა.

სხვა ნაირად ძნელია დააინტერესო, გამოიწვიო ქართველი ყმაწვილი კაცობა ამა თუ იმ ხელოვნების დარგში სამუშაოდ და მეშინიან რომ სახელმწიფო თეატრი ჩანერგებულ კ[illegible]რას არ დაემგვანოს. აი ერთი სიმპტომიც ამისთანა მომავლისა: ამ რამდენიმე ხნის წინათ თეატრის კომისსარმა და მისმა ამხანაგმა მოისურვეს ქართული გუნდის შექმნა ოპერებისათვის; მოვიდა ერთი-ოცი კაცი, მაგრამ ამათაც მალე აიცრუეს გული მეცადინეობაზედ; ეს ესეც უნდა ყოფილიყო; ვინ დაჰკარგავს დროის ერთი-ორი წარმოდგენისთვის? ან შვიდი რვა თვისთვის დანარჩენი ოთხი თვე რითი შეინახოს თავი, ცოლი, შვილი? რუსეთში რომ ირჩევენ გუნდში მომღერლის პროფესსიას, იქ სხვა საქმეა; იქ მრავალი საოპერო დასია, ხუთ თვეს აქა მუშაობს, სამს როსტოვში, ოთხს ეკატერინოდარში და ესე განუწყვეტლივ.

სახელმწიფო თეატრი, რომლის ქონებაც მილიონები ღირს, დღეს თავისუფალ საქართველოს საკუთრებას შეადგენს, ამ ქონებას დიდი მოვლა და უფრო დიდი გამოყენება საჭიროა. სასურველია, მაგრამ, არა, სურვილი ცოტაა; ეს დაწესებულება ლამპარი უნდა იყოს, რომლის ცხოველ-მყოფელი სხივებიც ჩვენი სამშობლოს ყ[...] კუთხეს მისწვდება; აქ უნდა სც[...] მაჯა ჩვენი ერის სულიერად აღო[...] ნებისა და ცხოვრებისა და, თუ [...] ვსცდები, ესე უყურებს სახელმწ[...] თეატრს რესპუბლიკის მთავრობაც; თავისი შეხედულება მან ჯერ-ჯერ[...] ბით გამოხატა იმ ჯილდოში, რომ[...] ლიც მან გაიღო ხელოვნების წარ[...] მადგენელთა საჩუქრად. სასურველ[...] მთავრობას ეს ჯილდო შემთხვევ[...] და დროებით არ გაეღოს, არამ[...] შეექმნას პირობები, რომელნიც თეატრში დროებით განცდილს ს[...] რულს გარდაჰქმნიან სამუდამოდ [...] დაუშრეტლად.

სახელმწიფო ფეატრი ქართული [...] ლოვნების აკადემიად უნდა გარ[...] ცეს, აქ იქნება უმთავრესი ფოკ[...] გამოხატულებისა; აქ უნდა შემოკრ[...] სმენისა და მხედველობის ილლუზ[...] საიდუმლოებათა გამომხატველნი, [...] მელთა მეტყველებასაც უნდა აგვ[...] გვინებდეს უფროსი და—გენიოს რუ[...] თაველისებური ცხოველ-მყოფელი [...] ენაწყლიანი პოეზია—დრამატურგია.

შესაძლებელია ჩვენ ამ კით[...] ღრმად და ფართედ ვერ შევეხეთ [...] წერილში, მაგრამ ეს კი ცხად[...] უცხადესია, რომ ჩვენი ცხოვრე[...] აწეწილ-დაწეწილ პირობების მოწყ[...] ბასთან ერთად მთავრობამ სახელმწ[...] ფო თეატრს და იქ მოხელეთა უზრ[...] ველ ყოფას ჯეროვანი ყურადღ[...] უნდა მიაქციოს, ვინაიდგან დრო [...] ხანობს და რამდენიც ადრე დაიწყ[...] ქართული ხელოვნება ამ გზით ზრდ[...] და სიარულს, იმდენი უმჯობესი იქნე[...] ბა ხალხის კულტურისა და მის ზ[...] ნება-განვითარებისათვის.

ი. კარგარეთელი.

P. S. სასურველია, ამ წერილ[...] აღძრულ კითხვის შესახებ ჯეროვ[...] ნაბიჯი გადასდგას მთავრობის წინ[...] შე ან სახელმწიფო თეატრის კომი[...] სარმა ან ქართულ სცენაზე მომუშ[...] კავშირის გამგეობამ.

ი. კ.